ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბოლნისი 14 ივლისი 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით შერაზადიშვილი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე –ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ჯუმბერ გობეჯიშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომრის მოადგილე –ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე.

კონსტანტინე კორძაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ოთარ ხუტიაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

პაპუნა მუშკუდიანი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

გიორგი მათეშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯის დამტკიცების შესახებ.

განიხილეს:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვისათვის მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია. რის შედეგადაც:

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია 2017 წლის 14 ივლისის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1 -ის დანართის პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 421000 ლარი, დ.ღ.გ-ს ჩათვლით. (მათ შორის: -- 399950 ლარი-სახემწიფო ბიუჯეტი; -- 21050 ლარი-ადგილობრივი ბიუჯეტი) (2017 წლის 06 ივლისის საქართველოს მთავრობის N1401 განკარგულების შესაბამისად).
3. "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის 1 პუნქტის "შ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს 4210 ლარი.

4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოახდინოს ზემოაღნიშნული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (საქართველოს მთავრობის განკარგულება N1401 06,07,2017წ) განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ოქმის დანართში ასახული პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდმოარე:	/დ. შერაზადიშვილი/
კომისიის თავმჯ. მოადგილე:	/ჯ. გობეჯიშვილი/
კომისიის წევრი:	/ო. ხუტიაშვილი/
კომისიის წევრი:	/კ. კორძაძე/
კომისიის წევრი:	/პ. მუშკუდიანი/
კომისიის წევრი:	/გ. მათეშვილი/